ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №02.09.16/10/153

თბილისი **16 ივლისი 2019 წ.**

ერთის მხრივ, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის კახაბერი ლაბუჩიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ნიუ ჰაუსი", დირექტორის ალექსანდრე გეჯაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

2.1 ხელშეკრულების საგანია- 2019 წლის ივნის-ივლისის თვეში მოსული ძლიერი წვიმისა და სეტყვის შედეგად, ისნის რაიონის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე;

2.2. CPV კოდი 45261910.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთაშორისო ღირებულება შეადგენს 56 318,47 (ორმოცდათექვსმეტი ათას სამას თვრამეტი ლარი და 47 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით. მათ შორის: მახათას შესახვევი №11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია – 38 441,25 ლარი და ალადაშვილის შესახვევი №19-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია – 17 877,22 ლარი;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

3.3. შესასრულებელი სამუშაოების საერთაშორისო მოცულობა და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება, ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მხარეთა შორის ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოს ღირებულების (ერთეულის ფასების) ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ (საექსპერტო ღირებულებას ანაზღაურებს შემსყიდველი, სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში ამ მიზნით გათვალისწინებული ხარჯების ფარგლებში (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მოთხოვნის შესაბამისად);

5.4. ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), ფაქტიურად შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

5.5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი რამაზ თაბაგარი;

5.6 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. სამუშაოს შესრულების პირობები, ადგილი და ვადა

6.1. სამუშაოების შესრულების ადგილი – მახათას შესახვევი №11 და ალადაშვილის შესახვევი №19;

6.2. სამუშაოები განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არუგვიანეს 2019 წლის 16 აგვისტო;

6.3. სამუშაოს შესრულებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მოთხოვნები.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2019 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:

ისნის რაიონის გამგეობა

მის. ქთბილისი, ნავთლუღის ქუჩა №&1

ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22

საიდენტ. კოდი 208 204 959

გამგებელი

_____ კ. ლაბუჩიძე

მიმწოდებელი:

შპს „ნიუ ჰაუსი"

მის. ქ.ქასპი, სოფ მეტეხი

სს „თი ბი სი ბანკი"

ა/ა GE06 TB78 3073 6050 1000 01

კოდი TBCBGE22

საიდენტ. კოდი 432 546 630

დირექტორი

_____ ბ. გეჯაძე

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY

Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2019.07.16 13:08:19 +04'00'

მისამართი ქ. თბილისი მახათას შესახ. #11 ქანობიანი სახურავის ხარჯთაღრიცხვა

სამუშაოების და ხარჯების დასახელება	ერთეულის განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
			ერთეულ.	სულ	ერთეულ.	სულ	
2	3	4	5	6	7	8	9
ახურავის ფენილის დაზიანებული ნაწილის დემონტაჟი	კვ.მ	335	0	0.00	0.98	328.30	328.30
ზიანებული ხის ფენილის (ფიცარი) მოხსნა	კუბ.მ	9.5	0	0.00	65	617.50	617.50
ხის კარკასის მოწყობა (დგარი, ირიბანა, ნიკნიკა, ფიცარი და სხვა.)	კუბ.მ	9.5	0	0.00	95	902.50	902.50
ის მასალა კ-1,05	კუბ.მ	9,98	525	5236,88	0	0.00	5236,88
ლურსმანი სამშ. კ-7,2	კგ	68.40	3	205.20	0	0.00	205.20
ის მასალის დამუშავება ხანძარსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური ხსნარით	კვ.მ	877,80	0	0.00	1.45	1272.81	1272.81
ანძარსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური კ-0,3	კგ	263,34	5	1316.70	0	0.00	1316,70
ახურავის ფენილის მოწყობა ფერადი გოფრირებული (პროფილირებული) თუნუქით, კეხის გათვალისწინებით (0,5მმ)	კვ.მ	330	0	0.00	20	6600,00	6600.00
ფერადი გოფრირებული თუნუქი (0,5მმ) კ-1,2	კვ.მ	396	10,6	4197,60	0	0.00	4197,60
ფურცვლოვანი თუნუქი კეხისთვის (ფერადი) (0,5მმ)	კვ.მ	10,5	10,6	111,30	0	0,00	111,30
სჭკვალი თვითმჭრელი 6ც	ცალი	1980	0,1	198,00	0	0,00	198,00
დაზიანებული ჰორიზონტალური საწვიმარი ღარების მოხსნა და ახლის მოწყობა ფერადი თუნუქით (ქართული ღარი 33 სმ)	გრძ.მ	57	0	0,00	6,75	384,75	384,75
ფერადი ფურცვლოვანი თუნუქი (0,5მმ)	კვ.მ	19,751	10,6	209.36	0	0,00	209,36
ლურსმანი კ-0,09	კგ	5,13	3	15,39	0	0,00	15,39
ღარის სამაგრი	ცალი	114	2,5	285,00	0	0,00	285,00
შუბლების შეფუთვა ფერადი თუნუქით	გრძ.მ	57	0	0,00	4,75	270,75	270,75
ფერადი ფურცვლოვანი თუნუქი (0,5მმ)	კვ.მ	17,1	10,6	181,26	0	0,00	181,26
ლურსმანი კ-0,09	კგ	5,13	10,6	54,38	0	0,00	54,38
ინდაოს მოწყობა (ფერადი) თუნუქით	კვ.მ	5	0	0,00	0	0,00	0,00
ფერადი თუნუქი ხისქით0,5მმ კ-1,2	კვ.მ	6	10,6	63,60	0	0,00	63,60
ლურსმანი კ-0,09	კგ	0,45	3	1,35	0	0,00	1,35

ეაზიანებული საწვიმარი ძაბრების დამზადება და შეცვლა (ძველის ოხსნით)	ცალი	8	35	280,00	25	200,00	480,00
ჭალსაწრეტი მილების დემონტაჟი და მოხსნა	გრძმ	40		0,00	7,5	300,00	300,00
კერამიკული ოუნუქის მილი 100მმ სისქით-0,5მმ კ-1,2	გრძმ	48	7,55	362,40		0,00	362,40
კერამიკული მუხლი ოუნუქის 100მმ სისქით-0,5მმ	ცალი	16	5	80,00		0,00	80,00
ხელების სამაგრი	ცალი	30	2	60,00		0,00	60,00
დემონტირებული მასალების და სამშენებლო ნარჩენების ჩამოტანა ხელით	ტ	16,5	0	0,00	45	742,50	742,50
სამშენებლო ნარჩენების დატვირთვა ა/მანქანაზე	ტ	16,5	0	0,00	25	412,50	412,50
სამშენებლო მასალის აღება სახლის სახურავზე ხელით	ტ	12,8	0	0,00	40	512,00	512,00
სამშენებლო ნარჩენების გატანა 50 კმ-ზე	ტ	16,5	0	0,00	19	313,50	313,50
ჯ ა მ ი				12858,41		12857,11	25715,52
მასალის ტრანსპორტირება	3%						385,75
ჯამი							26101,27
ზედნადები ხარჯი	10%						2610,13
ჯ ა მ ი							28711,40
გეგმიური დაგროვება	8%						2296,91
ჯამი							31008,31
გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%						930,25
ჯამი							31938,56
დ.ღ.გ.	18%						5748,94
ჯამი							37687,50
საექსპერტო მომსახურეობა	2,0%						753,75
სულ	ლარი						38441,25

შემსრულებელი:

შ.პ.ს ნიუ ჰაუსი

ს/კ **432546630**

მისამართი: მოსკოვის გამზირი კორპ.48/38

ტელეფონი: **557 58 58 96**

დირექტორი: ა. გეჯაძე

მისამართი ქ. თბილისი ალადაშვილის შესახ. #19 ქანობიანი სახურავის ხარჯთაღრიცხვა

სამუშაოების და ხარჯების დასახელება	ერთეულის ანზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
			ერთეულზე	სულ	ერთეულზე	სულ	
2	3	4	5	6	7	8	9
ახურავის ფენილის დაზიანებული ნაწილის დემონტაჟი	100მ	150	0	0,00	0,98	147,00	147,00
დაზიანებული ხის ფენილის (ფიცარი) მოხსნა	1000მ	5	0	0,00	65	325,00	325,00
ხის კარკასის მოწყობა (დგარი, ირიბანა, ნიკიზი, ფიცარი და სხვა.)	1000მ	5	0	0,00	95	475,00	475,00
ის მასალა კ-1,05	1000მ	5,25	525	2756,25	0	0,00	2756,25
ლურსმანი სამშ. კ-7,2	კგ	36,00	3	108,00	0	0,00	108,00
ის მასალის დამუშავება ნაძარსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური ხსნარით	100მ	462,00	0	0,00	1,45	669,90	669,90
ანძარსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური კ-0,3	კგ	138,60	5	693,00	0	0,00	693,00
ახურავის ფენილის მოწყობა ფერადი გოფრირებული (პროფილირებული) თუნუქით, კენის გათვალისწინებით (0,5მმ)	100მ	150	0	0,00	20	3000,00	3000,00
ფერადი გოფრირებული თუნუქი (0,5მმ) კ-1,2	100მ	180	10,6	1908,00	0	0,00	1908,00
ფურცვლოვანი თუნუქი კენისთვის (ფერადი) (0,5მმ)	100მ	5,5	10,6	58,30	0	0,00	58,30
სჭვალი თვითმჭრელი 6ც	ცალი	900	0,1	90,00	0	0,00	90,00
დაზიანებული ჰორიზონტალური ნაწვიმარი ღარების მოხსნა და ახლის მოწყობა ფერადი თუნუქით (ქართული ღარი 33 სმ)	გრძმ	21	0	0,00	6,75	141,75	141,75
ფერადი ფურცვლოვანი თუნუქი (0,5მმ)	100მ	7,277	10,6	77,13	0	0,00	77,13
ლურსმანი კ-0,09	კგ	1,89	3	5,67	0	0,00	5,67
ღარის სამაგრი	ცალი	42	2,5	105,00	0	0,00	105,00
შუბლების შეფუთვა ფერადი თულუქით	გრძმ	21	0	0,00	4,75	99,75	99,75
ფერადი ფურცვლოვანი თუნუქი (0,5მმ)	100მ	6,3	10,6	66,78	0	0,00	66,78
ლურსმანი კ-0,09	კგ	1,89	10,6	20,03	0	0,00	20,03
ინდაოს მოწყობა (ფერადი) თულუქით	100მ	3	0	0,00	0	0,00	0,00
ფერადი თულუქი სისქეი0,5მმ კ-1,2	100მ	3,6	10,6	38,16	0	0,00	38,16
ლურსმანი კ-0,09	კგ	0,27	3	0,81	0	0,00	0,81

ასფალტებული საწვიმარი ძაბრების დამზადება და შეცვლა (ძველის ოხსნით)	ცალი	3	35	105,00	25	75,00	180,00
ჭალახვრეტი მიდების დემონტაჟი და მონტაჟი	გრძმ	15		0,00	7,5	112,50	112,50
ყვრადი თუნუქის მიდი 100მმ სისქით-0,5მმ კ-1,2	გრძმ	18	7,55	135,90		0,00	135,90
ყვრადი შუხლი თუნუქის 100მმ სისქით-0,5მმ	ცალი	16	5	80,00		0,00	80,00
იღლების სამაგრი	ცალი	10	2	20,00		0,00	20,00
ექმონტირებული მასალების და სამშენებლო ნარჩენების ჩამოტანა ხელით	ტ	4,5	0	0,00	45	202,50	202,50
სამშენებლო ნარჩენების დატვირთვა ა/მანქანაზე	ტ	4,5	0	0,00	25	112,50	112,50
სამშენებლო მასალის ატანა სახლის სახურავზე ხელით	ტ	5,9	0	0,00	40	236,00	236,00
სამშენებლო ნარჩენების გატანა 50 კმ-ზე	ტ	4,5	0	0,00	19	85,50	85,50
ჯ ა მ ი				6268,03		5682,40	11950,43
მასალის ტრანსპორტირება	3%						188,04
ჯამი							12138,48
ზედნადები ხარჯი	10%						1213,85
ჯ ა მ ი							13352,32
გეგმიური დაგროვება	8%						1068,19
ჯამი							14420,51
გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%						432,62
ჯამი							14853,12
დ.ღ.გ.	18%						2673,56
ჯამი							17526,69
საექსპერტო მომსახურეობა	2,0%						350,53
სულ	ლარი						17877,22

შემსრულებელი:

შ.პ.ს ნიუ ჰაუსი

ს/კ 432546630

მისამართი: მოსკოვის გამზირი კორპ.48-ბ8

ტელეფონი: 557 58 58 96

დირექტორი: ა. გეჯაძე

ქ. თბილისი 16 ივლისი 2019 წ.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა 2019 წლის ივნისი-ივლისის თვეში მოსული ძლიერი წვიმისა და სეტყვის შედეგად, ისნის რაიონის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

2019 წლის ივნისი-ივლისის თვეში მოსული ძლიერი წვიმისა და სეტყვის შედეგად, ისნის რაიონის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე, 2019 წლის 16 ივლისს გაფორმებული №02.09.16/10/153 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

გამგეობის ინფრასტრუქტურული

პროექტების მართვისა და

პროექტირების განყოფილების

უფროსი სპეციალისტი: რამაზ თაბაგარი